



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



**„გურიის რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივი
ორგანიზაციებისა და სოციალური მუშაკების როლის გაძლიერება
ოჯახების მხარდაჭერის მიზნით“**

ა(ა)იპ „ჯანმრთელობის დაცვისა და ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრი“

თბილისი, 2018



პროექტს „გურიის რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციებისა და სოციალური მუშაკის როლის გაძლიერება ოჯახის მხარდაჭერის მიზნით“ ახორციელებს ა(ა)იპ „ჯანმრთელობის დაცვისა და ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრი“, ა(ა)იპ „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“, ა(ა)იპ „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის“ ოზურგეთის წარმომადგენლობა. პროექტი ხორციელდება პროგრამის „თანამშრომლობა ოჯახის გაძლიერებისათვის საქართველოს რეგიონებში“ ფარგლებში. პროგრამა დაფინანსებულია ევროკავშირის და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს მიერ პროექტის „სოციალური მუშაკები სოციალური ცვლილებისთვის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (SWIC)“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია ოთხ პარტნიორთან თანამშრომლობით: „ჰილფსვერკ ავსტრია“ (HWA), „სომხეთის სოციალურ მუშაკთა ასოციაცია“ (AASW), „აზერბაიჯანის სოციალური მუშაკების საზოგადოებრივი კავშირი“ (ASWPU) და „მოლდოვის რესპუბლიკის ექთნების ასოციაცია“ (NARM).

აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია პროექტის „გურიის რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციებისა და სოციალური მუშაკის როლის გაძლიერება ოჯახის მხარდაჭერის მიზნით“ ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტები:

1. გურიის რეგიონში თემის საჭიროებების კვლევა (კვლევის მოკლე ანგარიში)
2. „გურიის რეგიონში ბავშვთა კეთილდღეობის გაუმჯობესების და მათი მიტოვების პრევენციის მიზნით ოჯახის დამხმარე სერვისების განვითარება“ (სადისკუსიო დოკუმენტის მოკლე მიმოხილვა)
3. ბავშვის მიტოვების პრევენციის და ოჯახის გაძლიერების სერვისები სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე (დოკუმენტის მოკლე მიმოხილვა)

ა(ა)იპ „ჯანმრთელობის დაცვისა და ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრი“ მადლობას უხდის პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტების მომზადების პროცესში მონაწილე თითოეულ კოლეგას/ექსპერტს აქტიური ჩართულობისა და ტექნიკური დახმარებისთვის: დიმიტრი გუგუშვილი, ამირან დათეშიძე, ნინო მირზიკაშვილი, ირმა მუჯანაძე, ეკა პაატაშვილი, ნინო ჭანტურიძე, სალომე ჭიჭინაძე, მარინა თოფურია, თამარ კუპრაძე.

„გურიის რეგიონში თემის საჭიროებების კვლევა“

(კვლევის მოკლე ანგარიში)

პროექტის „გურიის რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციებისა და სოციალური მუშაკების როლის გაძლიერება ოჯახების მხარდაჭერის მიზნით“ ერთ-ერთი ძირითადი აქტივობაა ადგილობრივ დონეზე თემის საჭიროებების კვლევა, რომლის შედეგების მიხედვით განისაზღვრება გურიის რეგიონისთვის პრიორიტეტული პრევენციული სერვისები, მათი მიწოდების შესაძლო სქემები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ეფექტური მექანიზმები.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია გურიის თემში ოჯახის გაძლიერებისა და ბავშვის ოჯახისგან დაშორების პრევენციის ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის, სოციალური მუშაკების როლის გაძლიერების და პრევენციული სერვისების განვითარებისათვის თემში არსებული საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესწავლა-გამოვლენა.

კვლევის ამოცანაა გამოვლინდეს და შეფასდეს:

1. ფაქტორები/გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ოჯახისგან ბავშვის მიტოვების, დაცილების რისკებსა და გადაწყვეტილებების მიღებაზე;
1. სოციალური მუშაკების როლი და ჩართულობა ოჯახების მხარდაჭერის კომპონენტში;
2. დამხმარე სერვისების საჭიროების მქონე და რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების იდენტიფიცირების და სოციალურ პროგრამებში ჩართვის პრაქტიკა. მონაწილე მხარეების (სოციალური მუშაკი, სოციალური აგენტი, ადგილობრივი თვითმმართველობა, პედაგოგი, პოლიცია, მედმუშაკი, ოჯახი, ახლობელი, სხვა), ჩართულობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესის შეფასებით;
3. მოწყვლადი ოჯახებისთვის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის არსებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა;
4. ბავშვების ჯანმრთელობის, განათლების და უსაფრთხოების საჭიროებები;
5. ინტერსექტორული თანამშრომლობა ოჯახების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები;
6. სერვისები, რომელთა რეგიონის დონეზე განვითარება ხელს შეუწყობდა ოჯახების გაძლიერებას.

კვლევის დიზაინი

მიზნის მისაღწევად და კვლევის ამოცანების გადასაწყვეტად გამოყენებული იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად.

კვლევის პირველი, თვისებრივი ნაწილი მოიცავდა ხუთ ფოკუს ჯგუფს. მეორე ეტაპზე განხორციელდა რაოდენობრივი კვლევა, რომელიც მოიცავდა გურიის რეგიონში შემთხვევითი შერჩევის მეთოდით 659 ადამიანის გამოკითხვას.

თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია

თვისებრივი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ფოკუს ჯგუფის მონაწილეების მოსაზრებების და შეხედულებების შესწავლა თემში ოჯახის გაძლიერებისა და ბავშვის ოჯახისგან დაშორების პრევენციის მექანიზმებთან დაკავშირებით, წინასწარ შედგენილი გზამკვლევის საშუალებით.

კვლევამ მოიცვა გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტი. კვლევის ფარგლებში განხორციელდა დისკუსია ხუთ-ფოკუს ჯგუფში. თითოეულ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობდა 8-12 ადამიანი, რომლებიც წარმოადგენდნენ კვლევის სამიზნე კონტინგენტს: სოციალურ სამსახურს, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს, ადგილობრივ არასამთავრობო სექტორს, პოლიციას, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სფეროებს.

თვისებრივი კვლევის შედეგების შეჯამება

ფოკუს-ჯგუფებთან დისკუსიის შედეგად გამოიკვეთა თემში არსებული საჭიროებები და ტენდენციები ბავშვის ოჯახიდან დაცილების, პრევენციისა და ოჯახის გაძლიერების მიმართულებით, კერძოდ:

1. ფაქტორები/გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვის მიტოვებასა და ოჯახიდან გამოყვანაზე

- სამივე მუნიციპალიტეტში ოჯახიდან ბავშვის გამოყვანის მთავარ რისკად დასახელდა **ოჯახში ძალადობა და მძიმე სოციალური ფონი**. ეკონომიკური პრობლემები და სიღარიბე გავლენას ახდენს ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობებსა და ბავშვის კეთილდღეობაზე;
- **შეზღუდული შესაძლებლობები ბავშვებსა და მშობლებში** ბავშვის ოჯახიდან დაცილების ერთ-ერთი ფაქტორია. ოჯახში სათანადო მოვლისთვის აუცილებელი პირობების არქონა, ასევე მშობლის მიერ ბავშვის უფულებელყოფა განაპირობებს შშმ ბავშვის ოჯახიდან მიტოვებას. ასევე, არის შემთხვევები, როცა მშობლის შეზღუდული შესაძლებლობები, მ.შ. ფსიქიკური პრობლემები, ხდება ბავშვის მიტოვებისა და ოჯახიდან გამოყვანის მიზეზი;
- ბავშვის ოჯახიდან გაყვანის მეუხეებს შორისაა **ობლობა და მშობლის მიერ სხვადასხვა მიზეზით შვილის უფულებელყოფა**, მაგალითად, როცა მშობელი ქმნის ახალ ოჯახს, სადაც ბავშვი მიუღებელი ხდება; მშობელს არ აქვს გააზრებული ბავშვის მოვლისა და აღზრდის პასუხისმგებლობა;
- დასახელებულ რისკ-ფაქტორებს შორისაა მშობლების (განსაკუთრებით, დედების) **შრომითი მიგრაცია, ნაადრევი ქორწინება, მშობლების დაბალი ცნობიერება და უნარ-ჩვევების დეფიციტი**.

2. სოციალური მუშაკების როლი და ჩართულობა ოჯახების მხარდაჭერის კომპონენტში

რესპონდენტთა მიერ სოციალური მუშაკის როლი და საქმიანობა, ზოგადად შეფასდა დადებითად. რესპონდენტებმა ისაუბრეს ძალადობის შემთხვევების, ბავშვთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების და ოჯახების მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო სტრუქტურებთან კომუნიკაციისას სოციალური მუშაკების მნიშვნელოვან წვლილზე. თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ პრევენციული აქტივობის კონტექსტში სოციალური მუშაკის ინსტიტუტი ჯერ კიდევ სუსტია. გამოიკვეთა გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის რეგიონში პრევენციული სერვისების განვითარებას:

- საზოგადოება და დაინტერესებული სტრუქტურების (მათ შორის, პოლიციის, სკოლა-ბაღების, ადგილობრივი თვითმმართველობის) წარმომადგენლები არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას სოციალური მუშაკის როლისა და ფუნქციების შესახებ, ხშირად ერთმანეთში ერევათ სოციალური აგენტი და სოციალური მუშაკი;
- სოციალური მუშაკის როლი საზოგადოებაში უმთავრესად გაიგივებულია ბავშვის ოჯახიდან დაცილებასთან და ხშირად ნეგატიურ კონტექსტში აღიქმება. შედეგად, ოჯახები, ახლობლები, მასწავლებლები და სამედიცინო პერსონალი გაურბიან ოჯახიდან მოსალოდნელ აგრესიას და თავს არიდებენ სოციალური მუშაკების ჩართვას ან მიმართავენ მხოლოდ დაგვიანებული, შორსწასული შემთხვევებისას (დაგვიანებული შემთხვევებისას კი დგება რადიკალური ზომების გატარების აუცილებლობა);
- სოციალური მუშაკები უჩივიან საზოგადოების მხრიდან მაღალ ფსიქოლოგიურ წნეხს და აღნიშნავენ, რომ გადაწყვეტილებების აღსრულებისას განიცდიან დანაშაულის გრძნობას;
- სოციალური მუშაკების მხრიდან პრევენციულ ჩარევას მხოლოდ ეპიზოდური ხასიათი აქვს. სოციალური მუშაკი უპირატესად დაკავებულია მწვავე, გართულებული შემთხვევების მოგვარებით, ნაკლები ყურადღება ეთმობა ოჯახის გაძლიერების მიზნით პრობლემების ადრეულ ეტაპზე გამოვლენას. გასათვალისწინებელია, ისიც რომ რეგიონის დონეზე არსებული სოციალური მუშაკების რესურსი ძალიან მწირია ასეთი ტიპის აქტივობისთვის. ამასთან, გამოიკვეთა სოციალურ მუშაკთა შორის პრევენციული სერვისების მიწოდებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების დეფიციტი (მაგალითად, ბავშვებთან, ოჯახის წევრებთან და საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციისა და კონფლიქტის მართვის) და ტრანსპორტირების (დროისა და ხარჯების) პრობლემა;
- სამივე მუნიციპალიტეტში აღინიშნა ფსიქოლოგის საჭიროება. რეგიონში მხოლოდ ერთი ფსიქოლოგია. ბავშვებთან და მშობლებთან ურთიერთობისა და შემთხვევების ადრეულ ეტაპზე გამოსავლენად ფსიქოლოგის დახმარების და მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობა დაფიქსირდა სოციალური მუშაკების მხრიდან;

- ოჯახების გაძლიერების მიმართულებით დასახელდა გრძელვადიანი ხედვისა და კომპლექსური მიდგომების არქონა, ასევე, მონაწილე მხარეების ჩართულობისა და თანამშრომლობის სტრუქტურირების აუცილებლობა სოციალური მუშაკების საქმიანობის განვითარების მიმართულებით;
- ბიუროკრატიული პროცესები სოციალური მუშაკის საქმიანობაში მნიშვნელოვნად უშლის ხელს დროულად რეაგირებას, პრევენციული ღონისძიებების გატარებასა და გადაწყვეტილების მიღებას.

3. დამხმარე სერვისების საჭიროების მქონე და რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების იდენტიფიცირებასა და სოციალურ პროგრამებში ჩართვაში სოციალური მუშაკების, სოციალური აგენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის, პედადოგის და სხვა ჩართულობა

- დამხმარე სერვისების საჭიროების მქონე და რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების იდენტიფიცირებასა და შეფასებაში წამყვანი სოციალური მუშაკები და სოციალური აგენტები არიან, რამდენადაც მათ თავიანთი მოვალეობების შესრულებისას უშუალოდ უწევთ ოჯახებთან მუშაობა და მათი საჭიროებების დანახვა;
- პრობლემური ოჯახებისა და რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების გამოვლენაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლა. მასწავლებლებსა და სკოლის თანამშრომლებს პირდაპირი ხშირი კონტაქტი აქვთ ბავშვებთან, რაც მათ საშუალებას აძლევს აღმოაჩინონ, როგორც ფიზიკური ძალადობის ნიშნები, ასევე ოჯახში არსებული სხვა პრობლემები (დაძაბული სიტუაცია ოჯახში, ჯანმრთელობის პრობლემა, ბავშვისთვის არაკეთილსაიმედო პირობები, ძალადობის ნიშნები). სკოლის თანამშრომლები აწვდიან ინფორმაციას სოციალურ მუშაკებს და ერთობლივად ცდილობენ პრობლემის გადაჭრას. ხშირად ასეთ ჩარევას დადებითი ცვლილებებიც ახლავს, მაგრამ შედეგი დროებითია, რადგან სკოლის ინტერვენციას არ აქვს სისტემატური ხასიათი. ზოგჯერ, კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად, განათლების სამინისტრო გამოსცემს ბავშვზე დაკვირვებისა და ჩარევის ინსტრუქციას სკოლებისთვის, თუმცა ჯერ კიდევ ვლინდება გრძელვადიანი ხედვებისა და უნარ-ჩვევების განვითარების ღონისძიებების დეფიციტი;
- პრობლემური ოჯახების გამოვლენაში, რიგ შემთხვევებში, ასევე ჩართულები არიან ამ ოჯახების მეზობლები, გამგეობის სოციალური სამსახურები, სოფლის რწმუნებულები, საკრებულო, რაიონის დეპუტატის ოფისი, პოლიცია, სოციალური აგენტი და საბავშვო ბაღებიც. არსებობს მხარეების კონსტრუქციული თანამშრომლობის ფრაგმენტული მაგალითებიც, თუმცა რესპონდენტები, ასევე საუბრობენ მათი მხრიდან ჩარევასა და სოციალური მუშაკის ჩართვისგან „თავის არიდების“ ფაქტებზეც;
- მნიშვნელოვანია ოჯახური ძალადობის შემთხვევების და კრიზისული დახმარების საჭიროების მქონე ოჯახების გამოვლენის პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობის გაზრდა.

4. მოწყვლადი ოჯახებისთვის სოციალური და ჯანდაცვის არსებული პროგრამები/სერვისების ხელმისაწვდომობა და ეფექტურობა

- სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ადგილობრივ დონეზე არსებობს დამატებითი სამედიცინო-სოციალური დახმარების პრაქტიკა/ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები. არსებული პროგრამები მნიშვნელოვან დახმარებას უწევს შეჭირვებულ ოჯახებს, თუმცა ბიუჯეტის სიმწირის გამო ფრაგმენტულია და სრულფასოვნად ვერ ფარავს მათ საჭიროებებს. ამასთან, სოციალური დახმარების არსებული სქემები ძირითადად ერთჯერად დახმარებებზეა ორიენტირებული, ოჯახის გაძლიერების გრძელვადიან პერსპექტივებთან დაკავშირებით არ არის სტრატეგიული ხედვა. ასევე გამოვლინდა მოქმედი პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის პრობლემაც;
- იკვეთება ოჯახების მიერ მიღებული დახმარების ეფექტური განკარგვის უნარ-ჩვევების არქონა;
- მოსახლეობა ფლობს ინფორმაციას განათლებისა და დასაქმების პროგრამებთან დაკავშირებით (საუბარია Worknet და პროფესიული განათლების პროგრამებზე). პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით, გამოიკვეთა ორი საკითხი: ერთი მხრივ, პროფესიული განათლება არაპოპულარულია რეგიონში და მოსახლეობას აქვს უმაღლესი განათლების მიღების სურვილი, მიუხედავად ამ მხრივ დასაქმების დაბალი პერსპექტივებისა; მეორე მხრივ, რეგიონში მხოლოდ ერთი პროფესიული სასწავლებელია (ოზურგეთში), შესაბამისად არსებობს ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯების, ასევე საცხოვრებლის პრობლემა;
- უმუშევრობის პრობლემების მიუხედავად, ახალგაზრდები თავს არიდებენ ფიზიკურ შრომას. ამასთან, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დასაქმება შეიძლება გახდეს სოციალური დახმარების დაკარგვის მიზეზი, რაც აღნიშნულ მოსარგებლეებს უკარგავს სამსახურის მოძიების სურვილს. სოციალური შემწეობა ხშირ შემთხვევებში ამცირებს დასაქმების მიმართ ოჯახების ინტერესს და იწვევს მათ პასიურობას, ზრდის დახმარებაზე მათ დამოკიდებულებას.

5. ბავშვების ჯანმრთელობის, განათლებისა და უსაფრთხოების საჭიროებების გამოვლენა

- ფოკუს-ჯგუფებში გამოიკვეთა ოჯახში ბავშვთა ძალადობის შემთხვევები, რაც მიგვითითებს უსაფრთხოების მხრივ არსებულ პრობლემებზე. ძალადობა ხდება ბავშვებზე მშობლების მხრიდან, უმეტეს შემთხვევაში, მიზეზად სახელდება ალკოჰოლის ავადმომხმარება. შემაკავებელი ორდერის გამოწერის პრაქტიკა ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ბავშვის დაცულობას;
- დასახელდა ბულინგის შემთხვევები სკოლებში. ჩოხატაურის ფოკუს-ჯგუფში ისაუბრეს ნაადრევი ქორწინებისა და ძალადობრივი ქორწინების ერთეულ შემთხვევებზეც. ასევე აღინიშნა ბავშვებზე თამბაქოსა და ალკოჰოლის მიყიდვის ფაქტები;
- რესპოდენტთა აზრით, არსებობს შემთხვევები, როცა ბავშვები ცხოვრობენ ისეთი ფსიქიკური აშლილობის პრობლემების მქონე მშობლებთან, რომლებსაც არ აქვთ

მინიჭებული სათანადო სტატუსი. შედეგად, საფრთხე ექმნება ბავშვების უსაფრთხოებას;

- გამოიკვეთა **მშობლების** ბავშვის აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით **დაბალი ინფორმირებულობა და მშობლობის უნარ-ჩვევების ნაკლებობა**, რაც საფრთხეს უქმნის ბავშვების ჯანმრთელობას. მაგალითად, მშობლებმა ზოგჯერ არ იციან, როდის მიმართონ ექიმს სამედიცინო მომსახურების მისაღებად;
- ასევე, გამოიკვეთა, რომ ოჯახში არსებული **მატერიალური პრობლემები** (საკვების, ტანსაცმლის, სასკოლო ნივთების, სამედიცინო დახმარების/მედიკამენტების არქონა) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვების სწავლა-განათლებაზე;
- გამოვლინდა ბავშვების ასაკისთვის შეუსაბამო **შრომითი საქმიანობის** შემთხვევები, მათ შორის საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლისა და შინამეურნეობებში დასაქმების ფაქტები. აღნიშნული ზოგჯერ ხდება სკოლის გაცდენისა და დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზი. არსებობს შემთხვევები, როცა აბიტურიენტებს უწევთ დასაქმება რეპეტიტორების თანხის მოგროვების მიზნით.

6. ინტერსექტორული თანამშრომლობა ოჯახების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები

- **სოციალური მუშაკები აქტიურად თანამშრომლობენ** ადგილობრივ თვითმმართველობასთან, სოფლის რწმუნებულებთან, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებთან, სკოლასთან, პოლიციასთან, რაიონის დეპუტატის ოფისთან. არსებული თანამშრომლობის განვითარება მოსახლეობის საჭიროებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენასა და პრევენციურ რეაგირებაში უმნიშვნელოვანესი კომპონენტია;
- **ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან.** თუმცა, გამოიკვეთა მოსაზრება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პრობლემებზე აქცენტირება გარკვეულწილად აფერხებს თანამშრომლობის განმტკიცებას;
- საყურადღებოა წარმატებული თანამშრომლობის ფაქტები, როცა **სოციალური მუშაკების კვლევის შედეგები გათვალისწინებული იქნა მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტის განსაზღვრისას** (მაგალითად, ქირავნობის პროგრამა, უნარების განვითარების პროგრამა, საოჯახო მეურნეობის გაძლიერების პროგრამა), თუმცა თანამშრომლობა „რეგულარულ ხასიათს არ ატარებს“. დაფიქსირდა საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომ ზოგჯერ საკითხი მიკერძოებულად, პირადი კონტაქტების გავლენით წყდება და პროგრამების დაგეგმვისას მუნიციპალიტეტი არ ითვალისწინებს საზოგადოების აზრს;
- გამოიკვეთა, რომ პრობლემური ოჯახების დაგვიანებული გამოვლენის მიზეზი ზოგჯერ **მხარეებს შორის არასათანადო თანამშრომლობაა**. გასაუმჯობესებელია თანამშრომლობა, არა მხოლოდ სამთავრობო სტრუქტურებს შორის, არამედ არასამთავრობო სექტორშიც, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციების სიმძლავრის გაერთიანებას ბავშვთა კეთილდღეობის ირგვლივ;

- ინტერსექტორული თანამშრომლობის მიმართულებით გადადგმულია ცალკეული ნაბიჯები, თუმცა არსებობს ამ მხრივ მეტი აქტივობისა და მიღწეული შედეგების განმტკიცების საჭიროება.

7. სერვისები, რომელთა რეგიონის დონეზე განვითარება ხელს შეუწყობდა ოჯახების გაძლიერებას

ადგილობრივი თვითმმართველობა ოჯახების დახმარების მიზნით აქტიურად იყენებს ოჯახების პირდაპირ ფინანსურ ერთჯერად ან მრავალჯერად დახმარებას (რაც ადგილობრივი ბიუჯეტისთვის მძიმე ტვირთია). თუმცა, ოჯახების მიერ ხშირად არ ხდება მიღებული თანხების მიზნობრივად გამოყენება. შესაბამისად, დღის წესრიგში დგას მათი ჩანაცვლება ხარჯთეფექტური, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სერვისებით. წარმატებულ მაგალითად მიიჩნევა ოზურგეთში საცხოვრებელი შენობის აშენება სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. ყველაზე ხშირად დასახელდა ფსიქოლოგიური სერვისების გაფართოვება, კრიზისული დახმარების პროგრამების ამოქმედება, მშობლების ცნობიერების ამაღლებისა და უნარ-ჩვევების განვითარების სერვისების/პროგრამების განვითარების საჭიროება, კერძოდ:

- რეგიონში არ არსებობს სპეციალიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სმენადაქვეითებულ ბავშვებს მოემსახურება;
- ოჯახების გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვნად თვლიან მშობლებისთვის დასაქმების ცენტრების გახსნას, სადაც ოჯახის წევრები პირდაპირ, დამატებითი სწავლება/გადამზადებაზე დაყოვნების გარეშე შეძლებენ თავიანთი უნარ-ჩვევების გამოყენებას, ასევე სოციალურ დახმარებაზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლებას;
- გამოიკვეთა სოფლებში ბაღებისა და ბაგა-ბაღების რესურსის გაზრდის საჭიროება;
- მშობლების ცნობიერების ამაღლება და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება პრიორიტეტულ აქტივობად რჩება. აღინიშნა ამ მიზნით საგანმანათლებლო შეხვედრების ორგანიზების, ასევე სასწავლო ცენტრების შექმნის საჭიროება, რომელიც მშობლებს მოამზადებს და მიაწვდის ადაპტირებულ ინფორმაციას ბავშვების საჭიროებების შესახებ, მაგალითად: ბავშვების მოვლისა და აღზრდის საკითხები, სწორი კვება და უსაფრთხო გარემო, წახალისების მეთოდების განვითარება, სამედიცინო/ფსიქოლოგიის საკითხებზე განათლება და ცნობიერების ამაღლება შშმ ბავშვების მშობლებისთვის;
- მობილური ჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებიც შეძლებენ ოჯახის საჭიროებების ადგილზე გამოვლენას და ოჯახების დახმარებას, რათა დროულად მიმართონ შესაბამის უწყებას;
- გამოითქვა დედათა და ბავშვთა კლუბების იდეა, სადაც დედა საჭირო განათლებას მიიღებს, უნარ-ჩვევებს აიმაღლებს და ამავდროულად, კლუბში იქნება ბავშვთა გასართობი ცენტრი;
- გამოიკვეთა ოჯახური ძალადობისა და ბავშვის ოჯახში დაბრუნების შემთხვევებისას სპეციალური ფსიქოლოგიური სერვისების მიწოდების აუცილებლობა. პრევენციული კომპონენტის საჭიროება მნიშვნელოვანია ფეხმძიმე

- ქალებზე რუტინული მონიტორინგისას, როცა ექიმს შეუძლია ადრეულ ეტაპზე, ბავშვის დაბადებამდე გამოავლინოს რისკები;
- მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის სხვადასხვა შემეცნებითი წრეების ორგანიზება, მათ შორის მათი ცნობიერების ამაღლება ძალადობის, უფლებების დაცვის მიმართულებით;
 - აღინიშნა მარტოხელა დედებისა და შშმ ბავშვების დედების დახმარების პროგრამის დანერგვის საჭიროება, არსებული ერთჯერადი დახმარებების პარალელურად;
 - ამასთან, გამოითქვა მოსაზრება, რომ ცალკეულ შემთხვევებში უმჯობესია მინდობითი აღზრდისთვის გამოყოფილი თანხების ბიოლოგიური ოჯახებისთვის გადაცემა და ოჯახთან დამატებით მუშაობა. აქვე, გასათვალისწინებელია ბავშვის ოჯახში დაბრუნების სირთულე და რესოციალიზაციაში სოციალური მუშაკების უნარ-ჩვევების ნაკლებობა.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია

რაოდენობრივი კვლევის ჩატარებისას პირისპირ ინტერვიუს საშუალებით გამოიკითხა გურიის რეგიონში მცხოვრები 659 რესპონდენტი. გამოიკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული ანკეტის მეშვეობით. შერჩევის მეთოდისთვის გამოყენებული იქნა ორდონიანი კლასტერული შერჩევა. პირველ დონეზე, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე განხორციელდა მსხვილი კლასტერების შერჩევა, კერძოდ გურიის რეგიონის სოფლების შერჩევა, ხოლო მეორე დონეზე, თითოეული მსხვილი კლასტერის შიგნით, თოვლის გუნდის მეთოდის საფუძველზე შეირჩა და გამოიკითხა შესაბამისი ოჯახები.

კითხვარი მოიცავდა ზოგად ინფორმაციას ოჯახის შესახებ, ინფორმაციას ბავშვთა ჯანმრთელობის, ბავშვთა განათლების მდგომარეობის, ბავშვთა საბაზისო საჭიროებების/ბავშვის დაცვის და სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისების მოხმარების შესახებ. შევსებული კითხვარები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამის SPSS-ის საშუალებით.

ზოგადი ინფორმაცია გამოკითხული ოჯახების შესახებ:

- კვლევის ფარგლებში გამოკითხულთა 87%-ს საშუალო ასაკის (25-64 წლის) რესპონდენტები წარმოადგენენ. რესპონდენტების უმრავლესობა ბავშვების მშობლები 73%, ბებია-ბაბუა 25%, ან სხვა ნათესაური კავშირის მქონე (დეიდა, მამიდა, ბიძა) (2%) პირები არიან. რესპონდენტების უმრავლესობას 4-6 სულიანი ოჯახები შეადგენენ (72.7%), ყველაზე დაბალია ცხრა სულიანზე მეტი ოჯახების რაოდენობა (0.6%). ორ ან ერთ შვილიანი ოჯახების რაოდენობა გამოკითხულთა 79.5%-ს შეადგენს, ხოლო 5.8% წარმოადგენს ოჯახს, რომელშიც ოთხი ან მეტი ბავშვი ცხოვრობს. გამოკითხული ოჯახების შემადგენლობაში ჭარბობს 7-18 წლამდე ბავშვების რაოდენობა (64%), 0-1 წლამდე ბავშვების პროცენტული წილი შეადგენს 6.4%-ს, ხოლო 2-6 წლამდე ასაკის ბავშვების პროცენტული წილი 30%-ს.

- რესპონდენტებში ძირითადად ჭარბობს დიასახლისი ან პენსიონერი წევრების რაოდენობა. ხოლო დასაქმებული და უმუშევარი წევრების თანაფარდობა თითქმის ერთნაირია. დასაქმებულთა გამოკითხული ოჯახების 43.4%-ში ოჯახის რამდენიმე წევრი. უმეტესად, დასაქმებულია ოჯახის ერთი (63.3%), ან ორი წევრი (31.8%). უმუშევარია გამოკითხული ოჯახების 47.5%-ის ოჯახის ერთიდან ექვს წევრამდე, მათ შორის 80% ოჯახებში ერთი ან ორი წევრია უმუშევარი.
- გამოკითხულ ოჯახებში ჭარბობს საშუალო განათლების მქონე პირების რაოდენობა (77.7%), არასრული განათლება აქვს 18.2%-ს, პროფესიული განათლება 46%-ს, ხოლო უმაღლესი განათლება აქვს 39.2%-ს.
- რესპონდენტების სუბიექტური შეფასება მატერიალური მდგომარეობის შესახებ ძირითადად დამაკმაყოფილებელია. ამასთან, მრავალშვილიან ოჯახები უფრო ეკონომიურად გაჭირვებულები არიან.
- გამოკითხული ოჯახების 60%-ის ოჯახის არცერთი წევრი არ არის შშმპ, სოციალურად დაუცველი, დევნილი, ეკომიგრანტი, ობოლი, ან სხვა სტატუსის მქონე. სტატუსის მქონე ოჯახებიდან კი ყველაზე მაღალია სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახების პროცენტული წილი 17.5%. შემდეგ მოდის შშმპ სტატუსის მქონე ოჯახების რაოდენობა 10%.
- რესპონდენტების უმრავლესობას უჭირს ოჯახის გაძლოა ძირითადად ფინანსების არ ქონის გამო, თუმცა გარდა ფინანსებისა, ზოგიერთ ოჯახს ასევე აქვს ჯანმრთელობის პრობლემა. ამასთან 24%-ს, ვისაც უჭირს ფინანსების გამო ოჯახის გაძლოა 24% მრავალშვილიანია (3 და მეტი ბავშვი).


რაოდენობრივი კვლევის მიგნებები

მკვლევართა ჯგუფის მიერ, რაოდენობრივი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, იდენტიფიცირებული იქნა შემდეგი ძირითადი მიგნებები (მკვლევარებმა გამოიყენეს კვლევის სიღრმისეული ანალიზის მიდგომა განსაკუთრებული შემთხვევების შესწავლისა და კავშირების დადგენის მიზნით):


- გურიის თემში ბავშვთა ჯანმრთელობის კუთხით გამოკითხული რესპონდენტების ბავშვების უმეტესობა ჯანმრთელია ან იშვიათად ავადმყოფობს. ბავშვების უმრავლესობა (99.1%) აღრიცხვაზეა ამბულატორიაში/პოლიკლინიკაში და ჩატარებული აქვს სავალდებულო აცრები. კვლევის შედეგებით გამოიკვეთა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების ხელმისაწვდომობის პრობლემა, განსაკუთრებით ჩოხატაურის რაიონის მოსახლეობისთვის.
- გურიის თემში ბავშვის განათლების კუთხით ნაკლები პრობლემები დაფიქსირდა. ბავშვების უმრავლესობა (91.2%) სისტემატურად დადის სკოლაში. ბავშვების 96.8% აქვს ყველა საჭირო სასკოლო ნივთი და წიგნები. რესპონდენტების 9.3% აღნიშნავს, რომ მათი ბავშვები სკოლაში სისტემატურად არ დადნ ძირითადად სკოლაში სიარულის სურვილის არქონის გამო (41%), ხოლო 30% მიზეზად სკოლის სიშორეს ასახელებს. აღმოჩნდა, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში პჯდ-ზე ფიზიკური ხელმისაწვდომობის პარალელურად პრობლემურია განათლებაზე გეორგაფიული ხელმისაწვდომობაც.

- **ბავშვთა საბაზისო საჭიროებებისა და ბავშვთა დაცვის საკითხების შესწავლამ** უჩვენა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ბავშვი არ ასრულებს ფიზიკურ სამუშაოს სისტემატურად, თუმცა 8.8% ჩართულია საოჯახო მეურნეობაში. გამოკითხული რესპონდენტების თითქმის ნახევარს (46.3%) სმენია ისეთი შემთხვევების შესახებ, როცა ბავშვები ჩართულები არიან ასაკისთვის შეუსაბამო შრომით საქმიანობაში ქვეყნის შიგნით ან გარეთ.

დიაგრამა 1: ფიზიკური სამუშაო;




დიაგრამა 2: ასაკისთვის შეუსაბამო საქმიანობა;




- გამოკითხულთა მცირე ნაწილი (2.7%) აფიქსირებს **ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის** ფაქტებს, კერძოდ, ოზურგეთსა და ჩოხატაურში (სულ 30 ბავშვი). შემთხვევათა უმეტესობა (11 ბავშვი) უკავშირდება თანატოლების მხრიდან ძალადობას. ოჯახის წევრებისგან ძალადობა გამოვლინდა 7 ბავშვზე, მასწავლებლების მხრიდან 5 ბავშვზე, 7 ბავშვის შემთხვევაში გამოვლინდა ძალადობის სხვა მიზეზი. საგულისხმოა, რომ მაღალი შემოსავლების მქონე რესპონდენტებში ძალადობის ფაქტები არ არის აღწერილი. ბავშვზე ძალადობის ფაქტები უმეტესად დაფიქსირდა შეჭირვებულ და სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენლების მიერ. თანატოლებისგან და სხვა პირებისგან ძალადობის მსხვერპლი 3 ბავშვის შემთხვევაში, ოჯახს უფიქრია **ბავშვთა სახელმწიფო მოვლის ინსტიტუციაში განთავსებაზე**. ოჯახების (რომელთა ბავშვები გამხდარან ძალადობის მსხვერპლი) ნახევარი აცხადებს, რომ სმენია **სოციალური მუშაკის** შესახებ, მაგრამ არ დასჭირვებია მათი მომსახურება; მესამედზე მეტს არ სმენია სოციალური მუშაკის შესახებ, მხოლოდ 17%-მა (სულ 3 ოჯახი, რომელთა შორის 2 ბავშვი ოჯახური და 1 ბავშვი სხვა პირის მხრიდან ძალადობის მსხვერპლია) მიმართა სოციალურ მუშაკს დახმარებისათვის. ხაზგასასმელია, რომ არ ფიქსირდება ძალადობის ფაქტების კორელაცია აღზრდის მეთოდებსა და ბავშვის სკოლაში სისტემატურ სიარულთან.

დიაგრამა 3: ძალადობის მსხვერპლი;




დიაგრამა 4: ვისი მხრიდან განიცადა ძალადობა;



- **ბავშვის ქცევის მართვასთან დაკავშირებით**, რესპონდენტების 14.9% ადასტურებს, რომ ზოგჯერ იძულებულია მიმართოს დასჯის მეთოდს. 1.5% აღნიშნავს, რომ ხშირად უწევს დასჯა. საგულისხმოა, რომ რესპონდენტთა ნახევარი, რომლებიც დასჯის მეთოდებს ანიჭებენ უპირატესობას, უმეტესად 35-44 წლის ასაკის არიან. მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახები არ აფიქსირებენ დასჯის მეთოდების გამოყენებას.

დიაგრამა 5: ბავშვის ქცევის მართვა;




- გამოკითხულთა უმრავლესობა (77%) აფიქსირებს, რომ უჭირს **ოჯახის გაძლიერება** და ძირითად მიზეზად (70%) ფინანსების არქონას ასახელებს. ფინანსური პრობლემების მქონე ოჯახების მეოთხედში თანდართულია ჯანმრთელობის პრობლემა, ასევე მათი მეოთხედი ნაწილი არის მრავალშვილიანი (3 და მეტი ბავშვით).
- **ბავშვის მოვლაში** აქტიურად არიან ჩართული ოჯახის სხვა წევრები. მაშინ, როდესაც მშობლები დაკავებული არიან, ოჯახის სხვა წევრები ან/და უფროსი ასაკის ბავშვები უვლიან მცირეწლოვან ბავშვებს.
- **ბავშვის სახელმწიფო მოვლის სერვისებში განთავსებასთან** დაკავშირებით, გამოკითხული რესპონდენტების 2.3%-მა თქვა, რომ უფიქრია ბავშვის განთავსებაზე და ძირითად მიზეზად დაასახელა გაჭირვება (91%). გარკვეული დროის შემდეგ, რესპონდენტების ნახევარმა გადაიფიქრა ბავშვის განთავსება სახელმწიფო მოვლის სერვისებში, რადგან ბავშვი საბოლოოდ ვერ გაიმატეს ან/და პრობლემა მოგვარდა. თუმცა საგულისხმოა, რომ არც ერთ რესპონდენტს არ

დაუფიქსირებია გადაფიქრების მიზეზად სოციალური მუშაკის ჩართულობა აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში.


- **ბაზისური საჭიროებების** შესწავლისას რესპონდენტთა მეხუთედმა უპასუხა, რომ ბავშვი უზრუნველყოფილია ყველა ბაზისური საჭიროებით. დანარჩენ შემთხვევებში გამოიკვეთა შემდეგი საჭიროებები: სასურველი განათლების მიღება, სათამაშო, ტანისამოსი, საკვები, ნორმალური საცხოვრისი, სამედიცინო მომსახურება და/ან მედიკამენტები. შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვნად დასახელდა საკუთარი საწოლი, ჰიგიენური მოხმარების ნივთები, სასკოლო ინვენტარი, უსაფრთხო გარემო. საინტერესო კორელაცია შეინიშნება ბაზისურ საჭიროებებსა და ბავშვთა სახელმწიფო ზრუნვის ინსტიტუციებში გათავსებას შორის. იმ რესპონდენტების უმეტესობა, რომელთაც უფიქრიათ ბავშვთა სახელმწიფო დაწესებულებაში განთავსება, აფიქსირებს უმეტესად საკვებისა და ნორმალური საცხოვრისის დეფიციტს. ოჯახებმა, რომელთაც უკვე განათავსეს ბავშვი აღნიშნულ დაწესებულებაში, მიუთითეს კომპლექსურად, ყველა ჩამოთვლილი ბაზისური საჭიროების პრობლემა.

დიაგრამა 6: ბაზისური საჭიროებების გადანაწილება;




- რესპონდენტების უმრავლესობა (86.9%) თვლის, რომ **ადგილობრივ დონეზე არ არის დასაქმების შესაძლებლობა**, რაც დიდი პრობლემაა გურიის რეგიონისთვის.
- სერვისების მოხმარების შესწავლამ აჩვენა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა **მიმართავს სოციალური მომსახურების სააგენტოს** საჭიროების შემთხვევაში, თუმცა ვინც არ მიმართავს თვლის რომ აზრი არ აქვს, რადგან მაინც ვერ მიიღებს შესაბამის დახმარებას. ძირითადად მიმართვის მიზეზია ფულად დახმარება (67.9%) ან მკურნალობის დაფინანსება (14.3%). რესპონდენტთა ნაწილმა (59.1%), რომლებმაც მიმართეს ფინანსური დახმარებისთვის, აღნიშნეს, რომ მათი მოთხოვნა სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ხოლო, რესპონდენტთა 40.9% აღნიშნა, რომ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა.

დიაგრამა 7: სააგენტოზე არ მიმართვის მიზეზები;




- გამოკითხული მოქალაქეების ნახევარზე მეტს (54%) არ სმენია **სოციალური მუშაკის შესახებ**. 36%-მა იცის, მაგრამ არ დასჭირვებია. 6%-მა იცის მისი არსებობის შესახებ, მაგრამ არ იცის როგორ მიმართოს. მხოლოდ 4%-ს უსარგებლია სოციალური მუშაკის მომსახურებით. სოციალურ მუშაკთან მიმართვის მიზეზები სხვადასხვაა, მათ შორისაა ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირება (9.4%), ბავშვის საჭირო საკვებით უზრუნველყოფა (8.8%), ბავშვის მოვლის დღის სერვისით უზრუნველყოფა (4.7%). აღსანიშნავია, რომ რესპონდენტების უმრავლესობა გამოხატავს კმაყოფილებას სოციალური მუშაკის მომსახურებით. თუმცა განხილვის საკითხია, რამდენად ობიექტურად აფასებენ მოქალაქეები სოციალური მუშაკის ჩართლობას მათი პრობლემების მოგვარებაშია.

დიაგრამა 8: ინფორმაცია სოციალური მუშაკის შესახებ;




- ზოგადად, რესპონდენტები აცხადებენ, რომ აქვთ ინფორმაცია **სახელმწიფო/მუნიციპალური ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამების** თაობაზე. თუმცა საგულისხმოა, რომ რესპონდენტების 18.1% საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას.

დიაგრამა 9: ინფორმაცია არსებული პროგრამების თაობაზე;




- საგულისხმოა რომ რესპონდენტების უმრავლესობას (77%) არ სმენია რეგიონში მოღვაწე ბავშვთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ და გამოკითხულთა აბსოლუტურ უმრავლესობას (96%) არ მიუმართავს არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. ხოლო მათ, ვინც მიმართა, უმეტეს შემთხვევაში მიზეზი იყო დასაქმება ან/და დღის სერვისით სარგებლობა.

დიაგრამა 10: ინფორმაციის ქონა ბავშვთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობოების შესახებ;



- ყველაზე მეტად ბავშვის საჭიროებების კუთხით რეგიონში გამოიკვეთა შემდეგი სერვისების საჭიროება: უფასო სპორტული/ხელოვნების წრე, გაძლიერებული სწავლების კურსი კონკრეტულ საგანში, გახანგრძლივებული კლასი სკოლაში, დღის მოვლის ცენტრი და სპეციალიზირებული სერვისები.

დიაგრამა 11: რომელი მომსახურება ესაჭიროება ბავშვს;



- თვალსაჩინოა მრავალშვილიან ოჯახებსა (3 და მეტი შვილი) და მათ მატერიალურ შესაძლებლობებს შორის კორელაცია, კერძოდ კვლევის შედეგების მიხედვით, მრავალშვილიანი ოჯახების ნახევარი მატერიალურად შეჭირვებულია, მესამედის ფინანსური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მრავალშვილიანი ოჯახების 84%-ს აქვს სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შესახებ სრული ან ნაწილობრივი ინფორმაცია. მრავალშვილიანი ოჯახების 78.5% არ ფლობს ინფორმაციას ბავშვთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ.

კვლევის შეჯამება

პროექტის ფარგლებში ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მიგნებებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შემდგომ რეაგირებას საჭიროებენ:

- **სიღარიბე მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია** ოჯახში ურთიერთობების, ბავშვის კეთილდღეობისა და უსაფრთხოების, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესების კუთხით. მრავალშვილიან რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს მატერიალურ სიდუხჭირეს, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვთა სწავლა-განათლებაზე. საინტერესო კორელაცია გამოვლინდა ბაზისურ საჭიროებებსა და ბავშვთა სახელმწიფო ზრუნვის ინსტიტუციებში განთავსებას შორის, კერძოდ იმ რესპონდენტების უმეტესობა, ვისაც უფიქრია ბავშვის სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებაში განთავსება, აფიქსირებს საკვებისა და ნორმალური საცხოვრისის დეფიციტს.
- როგორც თვისებრივმა, ისე რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ სამივე მუნიციპალიტეტში **ოჯახიდან ბავშვის გამოყვანის მთავარი მიზეზებია ოჯახში ძალადობა და მატერიალური პრობლემები**. მიზეზად ასევე სახელდება შეზღუდული შესაძლებლობები ბავშვებსა და მშობლებში. თვისებრივი კვლევის მონაცემებით, ბავშვის ოჯახიდან გაყვანა მომხდარა ობლობისა და მშობლის მიერ სხვადასხვა მიზეზით შვილის უგულვებელყოფისას;

- **ბავშვზე ძალადობის შემთხვევები** აღნიშნულია ორივე კვლევის შედეგებში, კერძოდ, ოჯახში ძალადობა და თანატოლების მხრიდან ბულინგი. ბავშვზე ძალადობის ფაქტები უმეტესად დაფიქსირდა შეჭირვებულ და სოციალურად დაუცველ ოჯახებში. რაოდენობრივი კვლევა ადასტურებს მასწავლებლების მხრიდან ძალადობის ფაქტებსაც, რაც არ აღინიშნება ხარისხობრივ კვლევაში.
- ორივე კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება **ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით მშობლების შეზღუდულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე**, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვების ფსიქოემოციურ მდგომარეობასა და უსაფრთხოებაზე, ასევე ზოგ შემთხვევაში მოქმედებს ბავშვის მიტოვების გადაწყვეტილებაზე.
- კვლევების შედეგების თანახმად, **სოციალური მუშაკის** შესახებ საზოგადოებას ნაკლებად სმენია. სოციალური მუშაკის როლისა და ფუნქციების შესახებ ცნობიერება დაბალია, როგორც მოქალაქეებში, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის (პოლიცია, სკოლა, სამედიცინო დაწესებულებები) წარმომადგენლებში. სოციალური მუშაკის ჩართულობა პრობლემების გამოვლენასა და ოჯახების გაძლიერებაში შეზღუდულია და უმთავრესად ხდება უკვე გართულებული შემთხვევებისას. ბავშვის სახელმწიფო მოვლის ინსტიტუციებში განთავსების გადაფიქრების მიზეზებში სოციალური მუშაკის კონტრიბუცია არ დასახელებულა. ხარისხობრივმა კვლევამ ასახა, რომ სოციალური მუშაკები განიცდიან საზოგადოების მხრიდან მაღალ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და გადაწყვეტილების აღსრულებისას განიცდიან დანაშაულის შეგრძნებას, ასევე სოციალური მუშაკები აღნიშნავენ რომ არ არიან დარწმუნებული საკუთარ გადაწყვეტილებაში.
- **სოციალური მუშაკის როლი ნაკლებად ასოცირდება პრევენციულ სერვისებთან.** ამასთან, მათი რესურსი რეგიონში მწირია და ვერ იქნება საკმარისი პრევენციულ სერვისებში მათი აქტიური ჩართვისთვის. ბიუროკრატიული პროცესები განხილულია, როგორც დამაბრკოლებელი ფაქტორი პრევენციულ ქმედებებში, გადაწყვეტილებების დროული მიღებისას და რეაგირებისას. ამავდროულად, გამოიკვეთა ფსიქოლოგის რესურსის ნაკლებობა სამივე მუნიციპალიტეტში.
- მოსახლეობის უმეტესობა ინფორმირებულია **სახელმწიფო, მუნიციპალური პროგრამების** შესახებ და მიმართავს შესაბამის სამსახურებს დახმარებისათვის. აღინიშნა, რომ ნახევარზე მეტ რესპონდენტს სრულად ან ნაწილობრივ დაუკმაყოფილდა მოთხოვნა. მწირი ბიუჯეტი ხელს უშლის საჭიროებების სრულად დაკმაყოფილებას. ამ მიზეზით, ზოგჯერ სოციალური მუშაკებიც იკავებენ თავს სახელმწიფო სტრუქტურებთან პრობლემების დაფიქსირებისაგან.
- სოციალური დახმარების არსებულ პრაქტიკას აკლია **ოჯახის გაძლიერების გრძელვადიანი ხედვა** და ძირითადად, ერთჯერად დახმარებებზეა ორიენტირებული.
- რეგიონში მოღვაწე ბავშვთა საკითხებზე მომუშავე **არასამთავრობო ორგანიზაციების** შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობა ნაკლებია, რესპონდენტებს თითქმის არ მიუმართავთ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. მიმართვის ერთეული შემთხვევები უკავშირდებოდა დასაქმების თხოვნასა და დღის სერვისით სარგებლობას.

- ორივე კვლევამ აჩვენა, რომ **დასაქმება მნიშვნელოვანი პრობლემაა გურიის რეგიონისათვის**, მიუხედავად უმუშევრობის პრობლემებისა, სამუშაო ვაკანსიები, რომელიც ფიზიკურ შრომას უკავშირდება ხშირად ვერ ივსება მუშახელით. როგორც წესი, ახალგაზრდები თავს არიდებენ ფიზიკურ გარჯას. ამასთან, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დასაქმება შეიძლება გახდეს სოციალური შემწეობის დაკარგვის მიზეზი, რაც მოქალაქეებს უკარგავს სამსახურის მოძიების მოტივაციას. მნიშვნელოვანი საკითხია ბავშვის ასაკისთვის შეუსაბამო შრომითი საქმიანობა ქვეყანაში და საზღვარგარეთ, რაც დაკავშირებულია ბავშვების სწავლა განათლებასთან. მნიშვნელოვანია რეგიონში პროფესიული სასწავლებლების სიმწირე და არაპოპულარობა, თუმცა ხარისხობრივი კვლევის თანახმად, ვინც დაამთავრა პროფესიული სასწავლებელი და გაიარა პროფესიული პროგრამები, ყველა მათგანი დასაქმდა.
- გამოიკვეთა **განათლების (სკოლა/ბაღი) და პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებთან გეორგაფიული ხელმისაწვდომობის** პრობლემა, კერძოდ ჩოხატაურის რაიონში.
- **ინტერსექტორული თანამშრომლობა** მეტად მნიშვნელოვანია ოჯახის გაძლიერების კუთხით, კვლევის შედეგების თანახმად არსებობს მხარეების კონსტრუქციული თანამშრომლობის მაგალითებიც, კერძოდ სოციალური მუშაკი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან, პოლიციასთან, სკოლასთან, თუმცა ხარისხობრივმა კვლევამ დაადასტურა სოციალური მუშაკის ჩართვისგან „თავის არიდების“ ფაქტები.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მკვლევარების მიერ რეკომენდირებული იქნა, რიგ მიმართულებებზე აქცენტირება, როგორც აღნიშნული პროექტის, ასევე ზოგადად ბავშვთა საკითხებზე მუშაობის პერიოდში, გრძელვადიან პერსპექტივაში:

1. პირველადი ჯანდაცვის და სკოლების/ საბავშვო ბაღების სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
2. **მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება საბაზისო განათლების აუცილებლობის შესახებ**; ბავშვის მოვლისა და აღზრდა-განვითარების, ბავშვის ქცევის მართვის, ოჯახის გაძლიერების, ბავშვთა ასაკისათვის შეუსაბამო შრომით საქმიანობის შესახებ;
3. მოსახლეობის, მათ შორის მშობლების, მოზარდების, მასწავლებლების, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება ძალადობის პრევენციის მიზნით;
4. **სოციალურ მუშაკთა როლის გაძლიერება ოჯახების მხარდაჭერის კუთხით**; სოციალური მუშაკების, სოციალური სამსახურის წარმომადგენლების ტრეინინგი;
5. დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა რეგიონში და მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება არსებული ვაკანსიების (**work net**) და გადამზადების შესაძლებლობების შესახებ;
6. **არასამთავრობო სექტორის გაძლიერება** რეგიონში და მათი აქტიური ჩართვა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაში;

7. შეჭირვებული მოქალაქეების შვილებისათვის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა ბაზისურ საჭიროებებზე, კერძოდ უფასო სპორტული /ხელოვნების წრეების დაფინანსება, გახანგრძლივებული ჯგუფების დაფინანსება;
8. მოქალაქეების აქტიური ჩართვა ადგილობრივი პროგრამების შემუშავებისას;
9. ინტერსექტორული თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით, მონაწილე მხარეების (პოლიცია, სოციალური მუშაკი, სკოლა, სამედიცინო დაწესებულება) ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა ოჯახების გაძლიერების და ბავშვთა კეთილდღეობის გაზრდის მიზნით და პრევენციულ სერვისებზე აქცენტის გამახვილება. შემთხვევების ადრეული გამოვლენისა და რეგირებისთვის ურთიერთთანამშრომლობის ეფექტური სქემების შემუშავება;
10. მულტისექტორული მიდგომა და ეფექტური ქმედებები ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გურიის რეგიონში. მნიშვნელოვანია მთლიანად სამთავრობო სექტორი, არასამთავრობო სექტორი და კერძო სექტორი, რა თქმა უნდა, ჯანდაცვის და სოციალური სექტორი, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს სხვადასხვა მონაწილე მხარეს შორის;
11. რეგიონში თემის დონეზე იდენტიფიცირებული საჭირო სერვისების განვითარება/ხელშეწყობა, როგორცაა:
 - ფსიქოლოგიური სერვისები/კრიზისული დახმარება;
 - სპეციალიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის;
 - დასაქმების და სასწავლო ცენტრების გახსნა (მშობლებისთვის);
 - სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დღის ცენტრები;
 - სოფლებში ბაღებისა და ბაგა-ბაღების რესურსის გაზრდა;
 - შინამეურნეობების გასაძლიერებლად სოფლის მეურნეობის პროგრამების შემუშავება;
 - ოჯახების საჭიროებების იდენტიფიცირების მექანიზმების დახვეწა;
 - დედათა და ბავშვთა კლუბები;
 - ბავშვთა სხვადასხვა შემეცნებითი წრეები;
 - მარტოხელა დედეებისა და შშმ ბავშვების დედეების მხარდაჭერის პროგრამა;
12. სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციებისა და სოციალური მუშაკების როლის ადვოკატირების გაძლიერება ოჯახების მხარდაჭერის მიზნით.

„გურიის რეგიონში ბავშვთა კეთილდღეობის გაუმჯობესების და მათი მიტოვების პრევენციის მიზნით ოჯახის დამხმარე სერვისების განვითარება“

(სადისკუსიო დოკუმენტის მოკლე მიმოხილვა)

დოკუმენტის მიზანია ადგილობრივ დონეზე განხორციელებული „თემის საჭიროებების კვლევის“ შედეგებზე დაყრდნობით, საერთაშორისო გამოცდილების შესწავლისა და საქართველოში არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, გურიის რეგიონისთვის განისაზღვროს ბავშვთა მიტოვების პრევენციის ეფექტური პრიორიტეტული სერვისები, მათი მიწოდების შესაძლო სქემები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მექანიზმები.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, გურიის რეგიონის მოსახლეობის 60%-ი რეგისტრირებულია მიზნობრივი სოციალური პროგრამების მონაცემთა ერთიან ბაზაში ხოლო, საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა გურიის მოსახლეობის 14%-ს შეადგენს, აღნიშნული მიუთითებს რეგიონში არსებულ მაღალ სუბიექტურ სიღარიბეზე¹. „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად², გამოკითხული შინამეურნეობების თითქმის ნახევარი (47%-მდე) საკუთარ თავს ღარიბ/უღარიბეს ოჯახებს მიაკუთვნებს. ბაზისურ სერვისებში ოჯახები განიცდიან მატერიალურ დეპრივაციას, სხვადასხვა ხარისხით. საერთაშორისო გამოცდილება მოწმობს, რომ მაღალი დამოკიდებულება სოციალურ შემწეობებზე მოსახლეობის მხრიდან იწვევს განვითარების დაბალ მოტივაციას გრძელვადიან პერსპექტივაში. დაბალი მოტივაცია და ინტეგრაციის დაბალი ხარისხი იწვევს მოსახლეობის ნაკლებ ინფორმირებას არსებული შესაძლებლობების და საკუთარი რესურსების რეალიზების კუთხით, მოსახლეობას გაცნობიერებული არ აქვს რა ღონისძიებები დაეხმარებათ საკუთარი მდგომარეობების გაუმჯობესებაში (შეზღუდულია იდენტიფიცირება საკუთარი შესაძლებლობების, ძლიერი მხარეების). აღნიშნულ კვლევებზე და მონაცემებზე დაყრდნობით, გურიის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები და არსებული გარემო მიუთითებს დამატებითი თანმიმდევრული ღონისძიებების გატარების შემთხვევაში გაუმჯობესების შესაძლებლობაზე. ამასთან, შედარებით განვითარებულია სამოქალაქო საზოგადოების ქსელი, რომლის აქტიური ჩართულობა გაზრდის ოჯახების კეთილდღეობის მაჩვენებელს.

ბავშვების მიტოვება.

გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტში ქვეყნების მიერ წარდგენილი ანგარიშების მიხედვით, ბოლო წლებში პრაქტიკულად ყველა ევროპულ ქვეყანაში, მ.შ. საქართველოში, არსებობს სხვადასხვა მიზეზებით მშობლებთან ბავშვების

¹ სოციალური მომსახურების სააგენტო, 2017.

² ქალაქ ოზურგეთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პროფილისა და სოციალური კეთილდღეობის ინდიკატორების კვლევა. ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, 2016.

განცალკევების შემთხვევების შემცირების ზოგადი ტენდენცია. მაგ, ბულგარეთში 2009 წელს იყო მშობლის უფლების ჩამორთმევის 438 შემთხვევა, 2012 წელს 277. დანიაში მშობელთა ზრუნვას მოკლებულ ბავშვთა რაოდენობა 2011წ. იყო 12 553, 2013წ. 11 614. ესტონეთში მშობლებისგან განცალკევებული ბავშვების რაოდენობა 2006 წელს იყო 645, 2011წ. 453.

ბოლო ათწლეულში საქართველოშიც შეინიშნება ბავშვთა მიტოვების შემთხვევათა კლების ტენდენცია, თუმცა ტენდენცია არ არის სტაბილური და ცალკეულ წლებში ადგილი აქვს მიტოვების შემთხვევათა მატებას.

საქართველოში, მიტოვებული ბავშვის განთავსება, ძირითად შემთხვევაში, ხდება მინდობით აღმზრდელთან. საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს მინდობით აღზრდაში განთავსდა 376 ბავშვი. განთავსების მიზეზებია: ძალადობა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა-35% , უგულვებელყოფა - 35%, სახელმწიფო ზრუნვის ფორმის შეცვლა -15%-, სიღარიბე და არასათანადო ცხოვრების პირობები-30%, მშობლების გარდაცვალება-5%. აღსანიშნავია, რომ ბავშვთა მიტოვების მონაცემები არ ასახავს შემთხვევებს, როცა ოჯახები ბავშვებს აღსაზრდელად ანდობენ სხვადასხვა რელიგიური ტიპის სადღეღამისო დაწესებულებებს, რომლებიც ჯერ კიდევ ფუნქციონირებენ მოქმედი სახელმწიფო რეგულაციების გვერდის ავლით. შესაბამისად, არ არსებობს სარწმუნო მონაცემები ამ დაწესებულებებში განთავსებულ ბავშვთა რაოდენობის შესახებ, მათ შორის გურიის რეგიონში მცხოვრები ოჯახებიდან.

ბავშვის ოჯახიდან განცალკევების მიზეზები სხვადასხვაგვარია. საქართველოში, ისევე როგორც სუსტი ეკონომიკური განვითარების სხვა ქვეყნებში, მშობლების მიერ ბავშვის მიტოვების გადაწყვეტილების მიზეზებს შორის წამყვანია **ეკონომიკური ფაქტორები**: სიღარიბე, უმუშევრობა, მასთან დაკავშირებული შრომითი მიგრაცია, უსახლკარობა/ცუდი საცხოვრებელი პირობები. მნიშვნელოვანია ასევე **სოციალურ-კულტურული ფაქტორები**, როგორცაა: ქორწინების გარეშე ბავშვის დაბადების მიუღებლობა, სტიგმა შშმ ბავშვების მიმართ, არასასურველი ორსულობის ან გაუპატიურების შედეგად დაბადებული ბავშვი. გარკვეული ადგილი უჭირავს **ფსიქოლოგიურ და ემოციურ ფაქტორებს**: მშობიარობის შემდგომი დეპრესია, ბავშვის ქცევასთან დაკავშირებული სირთულეები, რომელსაც მშობელი ვერ უმკლავდება შესაბამისი უნარების არქონის გამო. მშობლებთან ბავშვის განცალკევების **სხვა მიზეზებს შორის** არის უპირატესად დისფუნქციური ოჯახებისთვის დამახასიათებელი ფაქტორები: ოჯახური ძალადობა, ახალი მეუღლის მიერ ბავშვის მოვლაზე უარის თქმა, მშობლის ალკოჰოლზე და/ან ნარკოტიკზე დამოკიდებულება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილ მიზეზებს შორის არსებობს ურთიერთკავშირიც და ამ ფაქტორების მოქმედება უმეტეს შემთხვევებში კომპლექსურია. შესაბამისი დახმარე სერვისების დეფიციტი კი (განსაკუთრებით შშმ ბავშვების შემთხვევაში) აძლიერებს მათ მოქმედებას/გავლენას და მნიშვნელოვნად ზრდის ბავშვების მიტოვების რისკს.

ბავშვთა მდგომარეობა გურიის რეგიონში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, გურიის რეგიონში 18 წლამდე ასაკის 24,334 ბავშვი ცხოვრობს. მათი დიდი ნაწილი სიღარიბესა და სხვადასხვა ფორმის დეპრივაციაში იმყოფება. აღსანიშნავია, რომ გურიის რეგიონში აღნიშნული მაჩვენებლები ქვეყნის საერთო მაჩვენებლებთან შედარებით უფრო მაღალია.

გურიაში არსებული სერვისები

ადგილობრივ დონეზე, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაფინანსებულ პროგრამებთან ერთად, არსებობს დამატებითი სამედიცინო და სოციალური დახმარების პრაქტიკა - ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები. 2014-16 წწ. გურიის რეგიონში მუნიციპალიტეტების მიხედვით არსებობს ბავშვებთან დაკავშირებული შემდეგი სახის სოციალური დახმარებები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი - ფინანსურ დახმარება მრავალშვილიან ოჯახებზე, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით, დედამით ობლებზე (წინასასკოლო ერთჯერადი დახმარება 300 ლარის ოდენობით), სხვადასხვა მოწყვლად კატეგორიებზე ასევე გაიცემა არაპირდაპირი ფინანსური დახმარება სუბსიდიის სახით გაიცემა ტრანსპორტირების, უფასო კვების, კომუნალური გადასახადების და ქირით უზრუნველყოფისთვის. ჯანდაცვის მომსახურება შემოიფარგლება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამებით და სასწრაფო სამედიცინო დახმარებით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი - მრავალშვილიან ოჯახების ფინანსური დახმარება. არაპირდაპირი ფინანსური დახმარება სუბსიდიის ფორმით გაიცემა მაღალთიან რეგიონში სტუდენტების ტრანსპორტის უზრუნველსაყოფად. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დახმარებები გაიცემა ხანდაზმულებზე, მზრუნველობამოკლებულებზე, შშმ პირებზე და ბავშვიან ღარიბ ოჯახებზე.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი - ოჯახებისა და ბავშვების ფინანსური დახმარება, არაპირდაპირი ფინანსური დახმარება სუბსიდიის სახით, რაც მოიცავს სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას. დახმარებების მიმღებთა შორის არიან ხანდაზმულები, ბავშვიანი ოჯახები და შშმ პირები. თუმცა დახმარების გაცემის კრიტერიუმები არ გამორიცხავს სხვა ჯგუფებისთვისაც დახმარების შესაძლებლობას. რეგიონში ცენტრალური ხელისუფლების მიერ ფინანსდება თითო შშმ ბავშვთა (30 ბავშვისთვის) და შშმ სტატუსის არმქონე ბავშვთა (25 ბავშვისთვის) დღის ცენტრი ოზურგეთში, ერთი შშმ ბავშვთა დღის ცენტრი (20 ბავშვისთვის) ჩოხატაურში და ერთი შშმ სტატუსის არმქონე ბავშვთა დღის ცენტრი (24 ბავშვისთვის) ლანჩხუთში. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ამ დღის ცენტრებისთვის გამოყოფილი დაფინანსება 2017 წლის განმავლობაში შეადგენს დაახლოებით 200 000 ლარს. ამასთან, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ რიგ შემთხვევებში ხდება დღის ცენტრების თანადაფინანსებაც, მაგ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სახელმწიფო

პროგრამით დაფინანსებული დღის ცენტრის თითო ბენეფიციარისთვის დამატებით გამოყოფს თვეში არაუმეტეს 150 ლარს.

თუმცა ეს ღონისძიებები ფრაგმენტულია და ბიუჯეტის სიმწირის გამო სრულფასოვნად ვერ ფარავს მათ საჭიროებებს. შესაბამისად, უნდა მოხდეს მათი ჩანაცვლება ხარჯთ-ეფექტური, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სერვისებით.

შეთავაზებული მოდელი გურიის რეგიონისთვის-რეკომენდაციები.

რეკომენდაცია 1. მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების და მათი ოჯახების იდენტიფიცირება.

ბავშვთა მიტოვების პრევენციის მიზნით ეფექტური ღონისძიებების შემუშავებისათვის აუცილებელ წინაპირობას პრობლემის მასშტაბის განსაზღვრა და მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების იდენტიფიცირება წარმოადგენს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქსტატის უკანასკნელი მონაცემების მიხედვით გურიის რეგიონში 18 წლამდე ასაკის 24,334 ბავშვი ცხოვრობს. როგორც რეგიონის მასშტაბით ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, გურიაში ბავშვების 2 პროცენტი ცხოვრობს ოჯახებში, რომლებიც განიხილავენ ბავშვ(ებ)ის სერვისში განთავსების შესაძლებლობას. თუმცა აღსანიშნავია, რომ რეალური მაჩვენებელი შესაძლოა გაცილებით უფრო მაღალი იყოს, რადგან როგორც წესი, ოჯახების უმეტესობა მსგავს სენსიტიურ საკითხზე ნამდვილი პასუხის გაცემას ერიდება. მაგრამ, 2 პროცენტის პირობებშიც კი რეგიონში ბავშვების რაოდენობიდან გამომდინარე დაახლოებით 450 ბავშვი მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება.

რეგიონში მომუშავე სოციალური მუშაკების მცირე რაოდენობიდან და ზოგადად სოციალური მუშაკების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალი დონიდან გამომდინარე მაღალია ალბათობა იმისა, რომ ამ ოჯახების დიდი ნაწილის შესახებ სოციალური მუშაკებმა არაფერი იციან. ამის გათვალისწინებით, პირველ ეტაპზე საჭიროა მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების და მათი ოჯახების მონაცემთა ბაზის შექმნა. მსგავსი ბაზის შექმნა თითოეულ მუნიციპალიტეტში მხოლოდ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი. მის შემუშავებაში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული როგორც ბავშვთან უშუალო კონტაქტში მყოფი პროფესიონალები - სოციალური მუშაკები, მასწავლებლები, ექიმები, ასევე იმ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, რომლებსაც ოჯახები დახმარებისთვის მიმართავენ - სოციალური მომსახურების სააგენტო, მუნიციპალური სოციალური სამსახურები და სოფლის რწმუნებულები. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების მონაცემთა ბაზა არ გულისხმობს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზის რეპლიკაციას, არამედ შინაარსობრივად განხვავებული მონაცემების შეგროვებას, როგორცაა ინფორმაცია ბავშვის ჯანმრთელობის და განათლების მიღების მდგომარეობის შესახებ, არის თუ არა ოჯახი დისფუნქციური, განიცდის თუ არა ბავშვი საკვების ნაკლებობას, რამაც შეიძლება მის ჯანმრთელობას საფრთხე

შეუქმნას და ა.შ. ამ სახის დეტალური ინფორმაცია სოციალურ მუშაკებს და თვითმმართველობის ორგანოებს საჭირო ინტერვენციების დაგეგმვაში დაეხმარება.

რეკომენდაცია 2. რეგიონში არსებული ბავშვთა სერვისების რუკის შექმნა (მეპპინგი).

ზოგიერთი სხვა რეგიონისგან გასხვავებით გურიის რეგიონში არასამთავრობო სექტორი ნაკლებად არის ჩართული სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ოჯახებისათვის და ბავშვებისათვის სოციალური მომსახურების მიწოდებაში. როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, მოსახლეობის 77%-ს საერთოდ არ სმენია მათ მუნიციპალიტეტში ბავშვთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ და მხოლოდ 4%-ს მიუმართავს მათთვის. ანალოგიურად, ფოკუს-ჯგუფების წევრთა უმეტესობა არ იყო ინფორმირებული მათ მუნიციპალიტეტში მოქმედი ორგანიზაციების შესახებ. ამის მიუხედავად, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფოკუს-ჯგუფების იმ მონაწილეებმა, რომლებსაც ჰქონდათ გარკვეული შეხება არასამთავრობო ორგანიზაციების სერვისებთან, ძალიან დადებითად შეაფასეს მათ მიერ გაწეული მომსახურება.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, საშუალოვადიან პერსპექტივაში სასურველია ქვეყნის მასშტაბით ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება და რეგიონში მათი მოზიდვის ხელშეწყობა. მაგრამ, საწყის ეტაპზე სასურველია მოხდეს რეგიონში ამჟამად მოქმედი ორგანიზაციების და მათ მიერ შეთავაზებული სერვისების რუკის მომზადება, რომელიც ბავშვთან კონტაქტში მყოფ პროფესიონალებს დაურიგდებათ და მათ საჭიროების შემთხვევაში ბავშვის შესაბამის ორგანიზაციაში გადამისამართებაში დაეხმარებათ.

ასევე მნიშვნელოვანი იქნება სოციალური მომსახურების სააგენტოსა და გამგეობის სოციალური სამსახურების, სკოლის, საბავშვო ბაღების, სამშობიარო და პედიატრიული განყოფილებების ექიმთა და ექთანთა, პოლიციის, სოფლის რწმუნებულების, საკრებულოს, რაიონის დეპუტატის ოფისის მონაწილეობით ტრენინგ-სემინარების ჩატარება არსებული რეგულაციების, პროგრამების და ბავშვის უფლებების დაცვის მნიშვნელობის თაობაზე, რაც გააუმჯობესებს უწყებებსა და სექტორებს შორის კოორდინირებულ თანამშრომლობას.

რეკომენდაცია 3. მიტოვების მაღალი რისკის მქონე ოჯახებისათვის დამატებითი სოციალური დახმარების გაწევა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუნიციპალური სოციალური დახმარებები ერთჯერადი სახის არის და ოჯახის მიერ მიმართვის შემთხვევაში გაიცემა. იმის გათვალისწინებით, რომ იმ ოჯახების 90%-მა, რომლებსაც ბავშვის სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ განთავსებაზე უფიქრიათ, მიზეზად უკიდურესი სიღარიბე დაასახელა, სასურველია, რომ ამ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს გარკვეული პრიორიტეტი მიენიჭოთ თვითმმართველობის სოციალური დახმარების მიღებაში, განსაკუთრებით სოციალური მუშაკის რეკომენდაციის შემთხვევაში. ამასთან, ოჯახის საჭიროებიდან გამომდინარე, დახმარება შესაძლოა იყოს როგორც ფულადი, ასევე

არაფულადი სახის, როგორცაა მაგალითად ბავშვისთვის საჭირო საოჯახო ინვენტარით უზრუნველყოფა, საცხოვრისის შეკეთება ან სხვა საჭირო სერვისის დაფინანსება.

რეკომენდაცია 4. სოციალური მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერება.

საქართველოში, ისევე როგორც ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში, სოციალურ მუშაკი ბავშვთა დაცვის სისტემის ხერხემალს წარმოადგენს და მოწყვლადი ჯგუფების ბავშვების კეთილდღეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ ინსტიტუტის ეფექტურ ფუნქციონირებაზე. გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში სოციალური მომსახურების სააგენტოს ამჟამად მხოლოდ 5 სოციალური მუშაკი ყავს და თითოეული საშუალოდ 25 ბავშვის საქმეს უძღვება, რაც საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით დატვირთვის მაღალი მაჩვენებელია. ამასთან, სოციალური მუშაკების არსებული რაოდენობის პირობებში, პრაქტიკულად შეუძლებელია მიტოვების მაღალი რისკის მქონე ბავშვების თუნდაც უმეტესობის მოცვა. ამის გათვალისწინებით, სასურველია, რომ ქვეყნის ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მსგავსად, გურიის რეგიონის თითოეულმა მუნიციპალიტეტმა მოკლევადიან პერსპექტივაში გამოყოს შტატი პროფესიონალი სოციალური მუშაკებისათვის საკუთარი სოციალური სამსახურის შემადგენლობაში, რომელთა უშუალო მოვალეობა მიტოვების და ძალადობის მაღალი რისკის მქონე ბავშვების ოჯახებთან მუშაობა იქნება.

სოციალური მუშაკების რაოდენობის ზრდის პარალელურად, აუცილებელია მათი მატერიალური-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. სოციალური მუშაკების მიერ მათი მოვალეობის ეფექტურად შესრულებას მნიშვნელოვნად უშლის ხელს ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემები. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, სოციალურ მუშაკებს ოჯახებთან სამუშაოდ სისტემატურად გადაადგილება უწევთ, სოციალური მომსახურების სააგენტო მათ არც ტრანსპორტით არ უზრუნველყოფს და არც ტრანსპორტის ხარჯებს უნაზღაურებს. ამის მიუხედავად, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სოციალური მუშაკები არ ზღუდავენ ოჯახებში საჭირო ვიზიტებს და დამატებით ხარჯებს საკუთარი ხელფასიდან ფარავენ. ბუნებრივია, რომ მოვალეობის შესრულებისათვის საჭირო ხარჯების სოციალური მუშაკისთვის დაკისრება საკითხისადმი არასწორი მიდგომაა და მომსახურებით მოცული ოჯახების ზრდის შემთხვევაში, სოციალურ მუშაკებს კიდევ უფრო გაუჭირდებათ საჭირო რაოდენობის ვიზიტების განხორციელება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტების ფინანსურ-მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, სასურველია სოციალური მუშაკებისთვის ტრანსპორტის ან დამატებითი თანხის გამოყოფა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მუნიციპალიტეტის მხრიდან საწვავით უზრუნველყოფის შემთხვევაში შესაძლებელია დონორი ორგანიზაციებისთვის ავტოტრანსპორტის უსასყიდლოდ გადაცემის თხოვნით მიმართვა.

ასევე, ძალზედ მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაკებთან მიმართებაში არსებული მცდარი სტერეოტიპების შეცვლა, რომელიც ხშირია არა მარტო ზოგადად

მოსახლეობის, არამედ ბავშვთან უშუალო კონტაქტში მყოფ სხვადასხვა პროფესიონალებს შორისაც კი. კერძოდ, უმეტესობა სოციალური მუშაკს აღიქვამს როგორც დამსჯელ მოხელეს, რომლის ძირითადი ფუნქცია სხვადასხვა პრობლემების მქონე ოჯახებიდან ბავშვის გაყვანა და სახელმწიფო ზრუნვაში განთავსებაა, მაშინ როდესაც რეალურად სოციალური მუშაკის მთავარი მიზანი პრობლემის შეძლებისდაგვარად აღმოფხვრა და ბავშვის ოჯახში შენარჩუნებაა, ხოლო ოჯახიდან ბავშვის გაყვანა უკიდურეს შემთხვევებში ხდება - მხოლოდ მაშინ როდესაც ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. ამ სტერეოტიპის შედეგად ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვთან გარკვეული კონტაქტის მქონე პირებმა (მაგალითად მეზობლებმა, მასწავლებლებმა) იციან, რომ ბავშვს გადაუდებელი საჭიროებები აქვს, მაგრამ თავს იკავებენ სოციალურ მუშაკთან დაკავშირებისგან, რადგან ამას შეიძლება, მათი აზრით, ბავშვის ოჯახთან დაშორება მოჰყვეს. ანალოგიურად, ქვეყნის სხვა რეგიონებში არაერთხელ გამოვლენილა ფაქტი, როდესაც თვითონ ოჯახი იკავებს თავს სოციალურ მუშაკთან დაკავშირებისგან, რადგან ეშინიათ, რომ ამას ბავშვის დაკარგვა მოჰყვება. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც სოციალურ მუშაკი სოციალური აგენტი ჰგონიათ, რომლებიც მათი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე ნეგატიურად აღიქმებიან მოსახლეობის მხრიდან.

სოციალურ მუშაკებთან დაკავშირებული სტერეოტიპების დასარღვევად პირველ რიგში აუცილებელია ბავშვთან კონტაქტში მყოფი პროფესიონალების ტრეინინგი. შემდგომ ეტაპზე სასურველია საინფორმაციო კამპანიის წარმოება სოციალური მუშაკის ფუნქციების შესახებ კომუნიკაციების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, როგორცაა ბუკლეტების გავრცელება, ადგილობრივ ტელევიზიაში და პრესაში მათი საქმიანობის გაშუქება, სკოლებში და ჯანდაცვის დაწესებულებებში საინფორმაციო პლაკატების განთავსება და ა.შ.

რეკომენდაცია 5. ბავშვთა დღის ცენტრების ქსელის გაფართოება და ადრეული ინტერვენციის სერვისების განვითარება.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით უკანასკნელ წლებში დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის ფარგლებში ქვეყანაში დაინერგა დღის ცენტრების მომსახურება, როგორც სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები ბავშვებისათვის, ასევე შშმ ბავშვებისათვის. ამ სერვისებში ბავშვები უზრუნველყოფილი არიან კვებით და სამედიცინო მეთვალყურეობით და ითვისებენ დამატებით საყოფაცხოვრებო, პროფესიულ-სახელობო და აკადემიურ უნარებს. ამ სერვისების პარალელურად, სპეციფიკიდან გამომდინარე, შშმ ბავშვების დღის ცენტრები ბენეფიციარებს უზრუნველყოფენ აუცილებელი მომსახურებით, როგორცაა შშმ ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური საჭიროებების შეფასება, ადაპტაციური უნარების გამომუშავება, თერაპია, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და ა.შ.ეს ერთის მხრივ სოციალურად დაუცველ და პრობლემურ ოჯახებს უადვილებს ბავშვზე ზრუნვას, ხოლო მეორეს მხრივ ბავშვებს განვითარების საშუალებას აძლევს.

გურიის რეგიონში ამჟამად ოთხი დღის ცენტრი ფუნქციონირებს - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ერთი ცენტრი შშმ ბავშვებს, ხოლო ერთიც შეზღუდვის არმქონე ბავშვებს ემსახურება, ლანჩხუთში შეზღუდვის არმქონე ბავშვებისთვის ერთი ცენტრი მოქმედებს, ხოლო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ერთი ცენტრი შშმ ბავშვებისთვის რეგიონში არსებული ოთხივე ცენტრი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და 2017 წლის მონაცემებით მთლიანობაში ისინი 99 ბავშვს (მათ შორის 45 შშმ ბავშვი) ემსახურებიან³.

რეგიონში მიტოვების მაღალი რისკის მქონე ბავშვების რაოდენობის გათვალისწინებით საჭიროა დამატებითი დღის ცენტრების შექმნა. ჯანმრთელობის და ადამიანის უფლებების ცენტრი მზად არის ამ პროცესში დაეხმაროს ადგილობრივ თვითმართველობას, რომ გამოავლინოს და კონსულტირება გაუწიოს პოტენციურ განმახორციელებელ ორგანიზაციებს და ადამიანებს, რომლებიც შეძლებენ სერვისის ამოქმედებას. ამისთვის მნიშვნელოვანი იქნება ადგილობრივი ხელისუფლების დახმარების მზადყოფნა. მაგ, შენობის გადაცემაში დახმარება, ინვენტარის გამოყოფა, კომუნალური ხარჯის დაფარვა და სხვა.

გურიის რეგიონში არ არის მიმწოდებელი, რომელიც შეძლებდა 0-დან 7 წლამდე ასაკის განვითარების დარღვევების მქონე ბავშვთა ადრეული ინტერვენციის სახელმწიფო პროგრამის მომსახურების განხორციელებას. ამ სერვისში ხდება შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება - კოგნიტური, მოტორული, კომუნიკაციური და ემოციური განვითარების ხელშეწყობა, მშობლების განათლება და გაძლიერება ბავშვის აღზრდა-განვითარების სფეროში, ასევე მათი სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა და მიტოვების პრევენცია. ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ადრეული განვითარების მიმწოდებელთა კოალიციის ჩართულობით მნიშვნელოვანია განხორციელდეს რეგიონში შესაბამისი სპეციალისტების მოძიება, მომზადება და სერვისის მიმწოდებლის დაფუძნება, რათა მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს რეგიონში მცხოვრები ოჯახებისთვისაც.

რეკომენდაცია 6. მშობლების საკონსულტაციო მომსახურების დანერგვა.

აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ბავშვის კეთილდღეობის გაუმჯობესების და მისი მიტოვების პრევენციის მიზნით განსაკუთრებით ეფექტურია მშობლების საკონსულტაციო მომსახურებების განვითარება. როგორც წესი, ამ სახის სერვისები ბენეფიციარებს მომსახურეობის ფართო სპექტრს სთავაზობენ, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მშობლობის უნარების გაუმჯობესება, საყოფაცხოვრებო უნარების, მათ შორის ოჯახის ბიუჯეტის მართვის გამომუშავება და მშობელთა ფსიქოლოგიური დახმარება. ამ სერვისების ბენეფიციარები უმეტესად არასრულწლოვანი, საშუალო განათლების არმქონე,

³საქართველოს მთავრობის დადგენილება სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3601687>

ასოციალური ქცევების მქონე და მავნე ნივთიერებზე დამოკიდებულ მშობლები არიან, თუმცა სოციალური მუშაკის მიერ საჭიროების მქონე ნებისმიერი მშობლის გადამისამართება არის შესაძლებელი. მიღებული განათლება მშობლებს ეხმარება აღზრდის თანამედროვე პოზიტიური მეთოდების ათვისებაში, როგორცაა მაგალითად ბავშვის სასურველი ქცევის მისაღწევად დასჯის ნაცვლად წახალისების გამოყენება, ფიზიკური და ემოციური ძალადობის მიუღებლობა, ქცევითი სირთულეების იდენტიფიცირება და მართვა, ბავშვის ემოციური და სოციალური უნარების განვითარება და ა.შ. ანალოგიურად, მიღებული ტრენინგის შედეგად მნიშვნელოვნად უმჯობესდება მშობლების საყოფაცხოვრებო უნარები, რაც ბავშვების მატერიალურ კეთილდღეობას აუმჯობესებს. ასევე ძალზე დადებით ეფექტს იძლევა ფსიქოლოგიური კონსულტაციის გაწევა, რაც მშობლებს ბავშვის აღზრდასთან თუ საყოფაცხოვრებო პრობლემებით გამოწვეული სტრესთან გამკლავებაში ეხმარება.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით საჭიროა რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში მშობლებისათვის საკონსულტაციო სერვისების შექმნა. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე ბავშვთან კონტაქტში მყოფი პროფესიონალების უმეტესობა თანხმდება, რომ ბევრ მშობელს არ აქვს შინამეურნეობის გაძღოლისა და მშობლობისათვის აუცილებელი უნარები. შედეგად ისინი სისტემატურად იყენებენ ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯის მეთოდებს, რაც არა მარტო ბავშვის უფლების დარღვევას წარმოადგენს, არამედ ხშირ შემთხვევაში მის ფიზიკურ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას შეუქცევად ზიანს აყენებს. ასევე იკვეთება, რომ ბევრ მშობელს უჭირს არსებული მწირი ფინანსური რესურსების სწორად გამოყენება. ასევე მშობელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საჭიროებს კვალიფიციურ ფსიქოლოგიურ დახმარებას, განსაკუთრებით ისინი, ვინც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს განიცდიან.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახის მომსახურება საქართველოში ჯერჯერობით ნაკლებად არის განვითარებული, თუმცა მსხვილ ქალაქებში ფუნქციონირებს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებსაც შესაბამისი ექსპერტიზა გააჩნიათ. შესაბამისად, სასურველია ამ ორგანიზაციებთან გურიის რეგიონში მშობელთა საკონსულტაციო მომსახურებების შექმნაზე კონსულტაციების დაწყება. თვითმმართველობების მხრიდან ინტერესის შემთხვევაში ჯანმრთელობის და ადამიანის უფლებების დაცვის ცენტრი მზად არის ორგანიზება გაუწიოს ამ სახის კონსულტაციებს.

შეჯამება

გურიის რეგიონში იდენტიფიცირებული სოციალური რისკების სიმწვავე (სიღარიბე, უმუშევრობა, სხვადასხვა ტიპის დეპრივაცია, განთლების და ინფორმირებულობის ნაკლებობა, ძალადობა, რესურსებზე წვდომის პრობლემა) ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, სათანადო დახმარებების, პროფესიონალებისა და სერვისების სიმწირე, ბავშვის ოჯახისგან განცალკევების (მიტოვების) ან მათი არასათანადო გარემოში განვითარებისა და აღზრდის განმაპირობებელი ფაქტორებია. გარდა იმისა, რომ ბავშვის მიტოვება მისი ფუნდამენტური უფლების დარღვევაა, ეს მდგომარეობა უარყოფით გავლენას ახდენს მის შემდგომ განვითარებაზე და ცხოვრების ხარისხზე.

მიტოვების რისკების შემცირებასთან ერთად, უყურადღებოდ არ უნდა დაჩქარდეს რეგიონში ბავშვების არასათანადო გარემოში განვითარებისა და აღზრდის პრობლემა. აქტიური ნაბიჯებია გადასადგმელი ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმების და ბავშვთა აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენების პრაქტიკის წინააღმდეგ. ასევე, აუცილებელია ბავშვთა და დედათა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებზე და ნუტრიენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ბავშვებში შეზღუდული შესაძლებლობების განვითარების პრევენცია და სპეციფიური სერვისების განვითარება. თუმცა, შემოთავაზებული რეკომენდაციები არ მოიცავს ყველა შესაძლო ღონისძიებას და შესწავლილი საერთაშორისო პრაქტიკის, თემში იდენტიფიცირებული საჭიროებებისა და რეგიონის სპეციფიკისა და შეზღუდული საბიუჯეტო რესურსების გათვალისწინებით, ძირითადად აქცენტირებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უფრო მოკლევადიან პერიოდში გასატარებელ, აუცილებელ და ხარჯთ-ეფექტურ ღონისძიებებზე.

1. მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების და მათი ოჯახების იდენტიფიცირება. რეგიონში დაახლოებით 450 ბავშვი მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება. ამასთან, მაღალია ალბათობა იმისა, რომ ამ ოჯახების დიდი ნაწილის შესახებ სოციალური მუშაკებს ინფორმაცია არ ჰქონდეთ. ამის გათვალისწინებით, პირველ ეტაპზე საჭიროა მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების და მათი ოჯახების მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელიც სოციალურ მუშაკებს და თვითმმართველობის ორგანოებს საჭირო ინტერვენციების დაგეგმვაში დაეხმარება.

2. რეგიონში არსებული ბავშვთა სერვისების რუკის შექმნა (მეპპინგი). გურიის რეგიონში არასამთავრობო სექტორი ნაკლებად არის ჩართული სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ოჯახებისათვის და ბავშვებისათვის სოციალური მომსახურების მიწოდებაში, ამიტომ სასურველია მოხდეს რეგიონში ამჟამად მოქმედი ორგანიზაციების და მათ მიერ შეთავაზებული სერვისების რუკის მომზადება, რომელიც ბავშვთან კონტაქტში მყოფ პროფესიონალებს ბავშვის შესაბამის ორგანიზაციაში გადამისამართებაში დაეხმარება.

3. მიტოვების მაღალი რისკის მქონე ოჯახებისათვის დამატებითი სოციალური დახმარების გაწევა. გურიის რეგიონის თითოეული მუნიციპალიტეტი გარკვეული ოდენობის ერთჯერად ფინანსურ დახმარებას გასცემს. იმის გათვალისწინებით, რომ იმ ოჯახების 90%-მა, რომლებსაც ბავშვის სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ განთავსებაზე უფიქრიათ, მიზეზად უკიდურესი სიღარიბე დაასახელა, სასურველია, რომ ამ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს გარკვეული პრიორიტეტი მიენიჭოთ თვითმმართველობების სოციალური დახმარების მიღებაში.

4. სოციალური მუშაკის ინსტიტუტის გაძლიერება. გურიის რეგიონში სოციალური მუშაკების არსებული რაოდენობის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია მიტოვების მაღალი რისკის მქონე ბავშვების უმეტესობის მოცვა, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მსგავსად, გურიის

რეგიონის თითოეულმა მუნიციპალიტეტმა გამოყოს შტატი პროფესიონალი სოციალურ მუშაკებისათვის.

სოციალური მუშაკების რაოდენობის ზრდის პარალელურად აუცილებელია მათი მატერიალური-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. ძალზე მნიშვნელოვანია სოციალურ მუშაკებთან მიმართებაში არსებული მცდარი სტერეოტიპების შეცვლა, რისთვისაც აუცილებელია პროფესიონალების ტრენინგი და საინფორმაციო კამპანიის წარმოება კომუნიკაციების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.

5. ბავშვთა დღის ცენტრების ქსელისა გაფართოება და ადრეული ინტერვენციის სერვისების განვითარება. გურიის რეგიონში მიტოვების მაღალი რისკის მქონე ბავშვების რაოდენობის გათვალისწინებით საჭიროა დამატებითი დღის ცენტრების შექმნა. რეგიონში არ ხორციელდება ბავშვთა ადრეული ინტერვენციის მომსახურება, ამიტომ მიზანშეწონილია ხელი შეეწყოს ამ სერვისის ამოქმედებას. ჯანმრთელობის და ადამიანის უფლებების ცენტრი მზად არის ამ პროცესში დაეხმაროს ადგილობრივ თვითმმართველობას და პოტენციურ განმახორციელებელ ორგანიზაციებს.

6. მშობლების საკონსულტაციო მომსახურების დანერგვა. ევროპული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ბავშვის კეთილდღეობის გაუმჯობესების და მისი მიტოვების პრევენციის მიზნით განსაკუთრებით ეფექტურია მშობლების საკონსულტაციო მომსახურებების განვითარება.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით საჭიროა რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში მშობლებისათვის საკონსულტაციო სერვისების განვითარება. თვითმმართველობების მხრიდან ინტერესის შემთხვევაში, ჯანმრთელობის და ადამიანის უფლებების დაცვის ცენტრი მზად არის ორგანიზება გაუწიოს მშობელთა საკონსულტაციო მომსახურებების შექმნაზე კონსულტაციების დაწყებას.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ღონისძიებების კომპლექსურად განხორციელება გაცილებით შედეგიანი იქნება, ვიდრე მათი ფრაგმენტულად და თანმიმდევრული ნაბიჯების გარეშე განხორციელება.

თვითმმართველობების მხრიდან აღნიშნული ამოცანებისა და ღონისძიებების განხორციელების მზადყოფნის შემთხვევაში, ჯანმრთელობის და ადამიანის უფლებების დაცვის ცენტრი მზად არის შემდეგი ნაბიჯების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის, რაც გულისხმობს შესაბამისი სერვისების ლოკაციებისა და ბენეფიციარების სავარაუდო რაოდენობის განსაზღვრას, სერვისების განფასებას, რესურსების მობილიზების შესაძლებლობების გამოვლენას, სამოქმედო გეგმის და პროგრამების შედგენას, პოტენციურ დონორებთან და თვითმმართველობებთან კონსულტაციების გამართვას და სხვა.

ბავშვის მიტოვების პრევენციის და ოჯახის გაძლიერების სერვისები საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით

(დოკუმენტის მოკლე მიმოხილვა)

2008 წელს ევროპის ქვეყნებში ჩატარებული კვლევის თანახმად, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის მიმოხილვა, პირველადი მონაცემების შეგროვება და ანალიზი, ბავშვთა მიტოვების პრევენციის საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეულია:

- სოციალური დახმარება
- დღის ცენტრები
- ახალშობილი დედების მენტალური ჯანმრთელობის განყოფილებები
- მშობელთა ტრენინგის ცენტრები და დახმარების ცხელი ხაზები
- ოჯახის დაგეგმვის და კონსულტირების სერვისები
- ფინანსური დახმარება ბავშვის ვინაობის დადგენისთვის, მარტოხელა დედებისთვის და მიტოვების მაღალი რისკის მქონე ოჯახებისთვის
- სამშობიარო სახლებში სოციალური მუშაკების დახმარება ბავშვის მიტოვების მაღალი რისკის მქონე დედებისთვის
- საავადმყოფოების და სამშობიაროების თანამშრომლების ტრენინგები რათა მათ შეძლონ მიტოვების მაღალი რისკის მქონე მდგომარეობების იდენტიფიცირება და მართვა; ასევე, მაღალი რისკის მქონე დედათა პოზიტიური კონსულტირება (European Commission, 2009).

2009 წელს ბრიტანეთში ჩატარებული კვლევის თანახმად, ოჯახების გაძლიერების ერთერთი პოპულარული მიმართულება, მათი შრომის ბაზარზე აქტიური ჩართვით ოჯახების ეკონომიკური გაძლიერებაა. სიღარიბეში და რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების წევრების დასაქმება განხილულია, როგორც ერთერთი საუკეთესო გზა ერთი მხრივ ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების და მეორე მხრივ სახელმწიფოს მიერ სოციალური დანახარჯების შემცირებისთვის (Spratt, 2009).

ოჯახის პოლიტიკის ეფექტური განხორციელება საჭიროებს მაღალკვალიფიციური სოციალური მუშაობის ჩართულობას. მაგალითად, 2014 წელს ლიტვის პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები სოციალური სერვისის კანონში, რომლის თანახმადაც სოციალურ მუშაკებად მუშაობა შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებმაც დაამთავრეს სოციალური მუშაობის საგანმანათლებლო პროგრამები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2014 წლის მონაცემებით თითოეული სოციალური მუშაკი მუშაობდა საშუალოდ 14 ოჯახთან (ეს მაჩვენებელი საქართველოში გაცილებით მაღალია). სოციალური მუშაკი და ბავშვთა დაცვის ოფისის თანამშრომელი ერთად წყვეტს რამდენ ხანს გაგრძელდეს ოჯახისთვის სოციალური სერვისის მიწოდება. სოციალური მუშაკები მუშაობენ სოციალური მომსახურების ცენტრებში ან ლიტვის მუნიციპალიტეტებში არსებულ სხვა ტიპის ორგანიზაციებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული პროექტებში მონაწილეობით და ბავშვების და ოჯახებისთვის მომსახურების მიწოდებით, ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ბავშვთა დღის ცენტრებში სოციალური პოლიტიკის განხორციელებაში (Motieciene & Laitinen, 2016).

ძირითადი მიგნებები

ბავშვის მიტოვების პრევენციის და ოჯახის გაძლიერების პროგრამები ქვეყნების უმრავლესობაში მიმდინარეობს ერთი ქოლგის ქვეშ. მათი საბოლოო მიზანი არის ოჯახის მთლიანობის და მისი სრულფასოვანი ფუნქციონირების შესაძლებლობა, რაც ქმნის ბავშვის ზრდის და განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოს, იცავს მას ზრუნვის გარეშე დარჩენისგან. აქვე უნდა ითქვას, რომ მთავრობას უპირატესი ვალდებულება აქვს ბავშვის დაცვასთან დაკავშირებით და როდესაც გარემო, მათ შორის ბიოლოგიურ ოჯახში შექმნილი გარემო საზიანოა მისთვის, სახელმწიფო ორგანიზაციები ვალდებული არიან დაიცვან ის მოსალოდნელი ზიანისგან. ამისათვის კი საჭიროა შესაბამისი კანონები და დამხმარე სერვისები.

სხვადასხვა ქვეყანაში ოჯახის გაძლიერება ეყრდნობა რამდენიმე ძირითად მიმართულებას:

1. **ხელშეწყობი კანონმდებლობა და მისი აღსრულება** - ოჯახში ძალადობისგან დაცვა, დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღკვეთა, კანონები სოციალური დაცვის და სხვა დამხმარე სერვისების შესახებ;
2. **მჭიდრო თანამშრომლობა სექტორებს შორის** - ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის წახალისება (მაგ. მოქნილი სამუშაო გრაფიკები მშობლებისთვის), სახელმწიფოს და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა სახელმწიფო შესყიდვების და სერვისების კოორდინაციის ფორმატის გამოყენებით, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა პოლიტიკის განსაზღვრაში; ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი ორგანიზაციები და მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს ერთმანეთთან მათი საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის წახალისება კი რამდენიმე გზით არის შესაძლებელი: 1. საგადასახადო სისტემაში სოციალურ მიზნებზე დახარჯული თანხების გათავისუფლება გადასახადებისგან ან/და სხვა საგადასახადო შეღავათები; 2. გაყიდვების ძალის წარმომქმნელი სოციალურად პასუხისმგებლიანი ბიზნესის იმიჯი და ამ მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება 3. ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის მიერ ბიზნეს სექტორის წახალისება/აღიარება (საუკეთესო დამსაქმებლის, საუკეთესო ინვესტორის და სხვა ნომინაციებით). ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა შესაძლოა შემდეგი ფორმებით: სერვისის მიმწოდებელთა პირდაპირი დაფინანსება, ამ ორგანიზაციების უფასო ექსპერტული კონსულტაციების გაწევა და შრომის კანონმდებლობის მიღმა ოჯახების გაძლიერების ხელშეწყობა (მაგ: მეძუძური დედებისთვის მოქნილი სამუშაო გრაფიკით და ა.შ.).

3. **სახელმწიფო სოციალური მომსახურების რესურსებით უზრუნველყოფა** - კვალიფიციური, სოციალური მუშაობის აკადემიური ხარისხის მქონე თანამშრომლების დასაქმება სოციალურ მუშაკებად, სოციალური მუშაკების პასუხისმგებლობაში არსებული შემთხვევების რაოდენობის ოპტიმიზაცია, ფინანსური და ტექნიკური რესურსები ველზე მუშაობის და სხვა მიზნებისთვის;
4. **დამხმარე სერვისები მშობლებისთვის** - მშობელთა სკოლები აღზრდის უნარების და ცოდნის გაუმჯობესებისთვის (ბავშვის განვითარების ეტაპები, საჭირო ინფორმაცია ასაკის მიხედვით, აღზრდის სტილები და ა.შ.), პროფესიული ორიენტირება/გადამზადება, ფსიქოლოგიური და სოციალური კონსულტირება;
5. **დამხმარე სერვისები ოჯახებისთვის** - სოციალურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, კვების და სხვა ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილება, ოჯახების და წყვილების კონსულტირება, კრიზისში მყოფი ოჯახების დახმარება, ოჯახში კომუნიკაციის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები;
6. **დამხმარე სერვისები ბავშვებისთვის** - ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების ცენტრები, დღის ცენტრები და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები;
7. **სერვისის მიმღებთა ჩართულობის უზრუნველყოფა** - მომსახურების დაწყებიდან ბოლომდე, სერვისის მიმღები ჩართულია როგორც კლიენტი და არა პასიური მიმღები;
8. **სერვისების გეოგრაფიული სიახლოვე** - სათემო სერვისების გაძლიერება ბენეფიციარებთან ახლოს, გეოგრაფიული ბარიერის მოხსნის მიზნით და მომსახურების ეფექტიანი ინტენსივობით გამოყენებისთვის;
9. **ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობას შორის აქტიური და ურთიერთშეთანხმებაზე დაფუძნებული თანამშრომლობა სოციალური დახმარებასა და სერვისების მიწოდებაში როლების ეფექტურად გადანაწილების მიზნით.** როლების გადანაწილება დამოკიდებულია კულტურულ და სოციო-ეკონომიკურ კონტექსტზე. სხვადასხვა ქვეყანაში როლების გადანაწილების სხვადასხვა მოდელი არსებობს. ძირითადი პრინციპია რომ მოდელმა უზრუნველყოს ბენეფიციარების, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების (სამთავრობო და არასამთავრობო) და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სერვისის დაგეგმვაში, განხორციელებაში და შეფასებაში. სოციალური მომსახურების დიდ ნაწილს ხშირად ადგილობრივი მთავრობა ადმინისტრირებს, რადგან სწორედ ეს რგოლია ბენეფიციარებთან და თემთან ყველაზე ახლოს, შესაბამისად დეცენტრალიზაცია სოციალურ სერვისებშიც მნიშვნელოვანია.